

# ქვირფასო მკითხველო! მოგაპალი ქვირიდან - 6 აბვისტოდან 1 საქმეობრამდე ჩვენი გაზეთი გაეოვა ქვირაში სამჯარ - სამუბათს, ხუთმუბათს ღა შაბათს.

## სამართლებლო



იმისთანა წმინდა სადმეში, ბებბინდ ბუქდ-  
უჭი სიფყაა, ფყილებით ღა ჭბბბბით ბუბ-  
თის გაფანა ყელა უკადრისბბბაჭ უსბბბგლყისა.



# რესპუბლიკა

ხუთმუბათი, 2 აგვისტო. 2018 წ. №155 (8556)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თატირი.

## ოკუპანტები გამიზნულად სდილობენ, სრულად ნაშალონ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის კვალი



# SOS!

აშშ-ის საელჩო საქართველოში, რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წლისთავთან დაკავშირებით კიდევ ერთ განცხადებას ავრცელებს, სადაც ნათქვამია, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შემდეგ, ცდილობს, ნაშალოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის კვალი ამ ადგილებიდან:

„მოგვალ კვირას 10 წელი სრულდება, რაც რუსეთი საქართველოში შეიჭრა. მას შემდეგ რუსეთს საქართველოს სუვერენული ტერიტორია ოკუპირებული აქვს. ეს ოკუპაცია ფეხდაფეხ მიჰყვება გამიზნულ მცდელობას, რომ ამ ადგილებიდან სრულად ნაშალონ ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის კვალი. ყოველივე ამას საკუთრებისა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურებით აკეთებენ. მაგალითად, გასულ წელს საქართველოს აფხაზეთის რეგიონში, სოფელ ნებელდასთან VIII-IX საუკუნის ნანგრევები გაანადგურეს. რატომ? იმიტომ, რომ ეს ადგილი სამხედრო სასროლეთისთვის გამოყენებინათ. ამით საქართველოსა და კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი სამუდამოდ გაქრა. ახლახან კი რუსული საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში სოფელ ერედვეში მასობრივად გაანადგურეს იძულებით განდევნილი ქართველების სახლები. მრავალ მიზეზს შორის, ეს სულ რამდენიმეა, რის გამოც რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია მიუღებელია“, - ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

რებით აკეთებენ. მაგალითად, გასულ წელს საქართველოს აფხაზეთის რეგიონში, სოფელ ნებელდასთან VIII-IX საუკუნის ნანგრევები გაანადგურეს. რატომ? იმიტომ, რომ ეს ადგილი სამხედრო სასროლეთისთვის გამოყენებინათ. ამით საქართველოსა და კავკასიის კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი სამუდამოდ გაქრა. ახლახან კი რუსული საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში სოფელ ერედვეში მასობრივად გაანადგურეს იძულებით განდევნილი ქართველების სახლები. მრავალ მიზეზს შორის, ეს სულ რამდენიმეა, რის გამოც რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაცია მიუღებელია“, - ნათქვამია აშშ-ის საელჩოს განცხადებაში.

## პრემიერ-მინისტრმა დაღუპული საპრაზემლი ივანე გოლაშვილი პასტანგ ბორბასლის პირველი ხარისხის ორდენზე წარადგინა

სამართლებლო პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომელი ივანე გოლაშვილი, რომელიც თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე ჩატარებული სპეცოპერაციისას დაიღუპა, პრეზიდენტს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენზე წარუდგინა.

მთავრობის მეთაური გარდაცვლილი სპეცრაზმელის ოჯახს გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსთან ერთად შეხვდა. „ვინო გოლაშვილის გმირობა მართლაც სამაგალითოა. სწორედ ასეთი ადამიანების თავდადებასა და გმირობაზე დგას საქართველო. დარწმუნებული ვარ, მისი შვილები - მარიამი და გიორგიც ისევე იამაყებენ მამით, როგორც მთელი საქართველო ამაცობს“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.



სპეცრაზმელი ივანე გოლაშვილი გარდაცვალების შემდეგ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობისთვის დააჯილდოვა. „მედალი მამაცობისთვის“ ვახტანგ გომელაურმა დაღუპული სპეცრაზმელის მეუღლეს გუშინ გადასცა.

## საქართველოში მაღალი რანგის სტუმრები ჩამოდიან

2018 წლის 6-7 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან 10 წლისთავზე თბილისს პოლონეთის, ლიეტუვას, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრები და უკრაინის ვიცე-პრემიერ მინისტრი ეწვევიან. საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ საგარეო საქმეთა

სამინისტროს ორგანიზებით დაგეგმილ მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაში - „მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის - 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 10 წლის შემდეგ“.

სტუმრები ასევე მონაწილეობენ საოკუპაციო ხაზს, პატივის მიაგებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას და შეხვედრებს გამართავენ საქართველოს პრეზიდენტთან, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან. საქართველო-რუსეთის 2008 წლის ომის 10 წლისთავზე მეგობარი ქვეყნების წარმომადგენელთა ვიზიტი ლიეტუვას და პოლონეთის ერთობლივი ინიციატივით ხორციელდება.

## საპრაზემლო არჩევნები 28 ოქტომბერს გაიმართება

გიორგი მარგველაშვილმა საპრაზემლო არჩევნების თარიღი დაასახელა, რაც იმას ნიშნავს, რომ წინასაარჩევნო მართონი გაისნა. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით პრეზენტი 28 ოქტომბერს გაიმართება.

ცნობილია, რომ საპრაზემლო არჩევნებში მარგველაშვილი მონაწილეობას არ მიიღებს. ამ დროისათვის საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვას გრიგოლ ვაშაძემ, დავით ბაქრაძემ, ზურაბ ჯაფარიძემ, ნინო ბურჯანაძემ, შალვა ნათელაშვილმა.



**სასაბილოა,  
საბირალი  
რომ არ იყოს!** ③

ნუბზარ  
ფოფხაძე

„პატაპი“  
კუბინს!

**ჭკუა  
სელიძეს  
ლონეს  
მოსღბამს** ⑩

**გაზეთის დასმარების  
მსურველებს:**

შეგიბლიათ, ნებისმიერი ოდენობის თანხა ჩავვირიცხოთ შემდეგ ანგარიშზე: №GE19T-B7601536020100009 (შპს „ახალი საუკუნე“).



## ეს საერთაშორისო სწავლება არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართული, იგი მხოლოდ და მხოლოდ რეგიონულ უსაფრთხოებას, მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას ემსახურება

ბუშინს ოფიციალურად გაიხსნა და 15 აგვისტომდე გაგრძელდება სწავლება „ლირსეული პარტნიორი“, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აშშ-ის არმიის ევროპული სარდლობის ლიდერობით ხორციელდება. „ლირსეული პარტნიორი 2018“-ის მონაწილეებს, მონაწილე სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა, პარლამენტის თავმჯდომარემ და თავდაცვის მინისტრმა. სწავლებაში, რომელიც ვაზიანში გაიხსნა, ნატოს წევრი და მეგობარი ქვეყნების 3004 სამხედრო მონაწილეობს.

„მნიშვნელოვანი ჩვენს პარტნიორებს შეერთებული შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, პოლონეთიდან, თურქეთიდან, ესტონეთიდან, ლიეტუვადან, ლატვიიდან, ნორვეგიიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და უკრაინიდან.

დღეს ჩვენი ერთად დგომა, ჩვენი მეგობრობა, ჩვენი საერთო მიზნები, რომლებიც მიმართულია მშვიდობის, ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მათი ყოფის დაცვისკენ, არის ის უმნიშვნელოვანესი წვლილი, რომელიც თქვენ შეგაქვთ ჩვენი და თქვენი ქვეყნების სიძლიერეში. ჩვენი მეგობრობა მიმართულია იქითკენ, რომ დავიცვათ მთავარი ღირებულება, ჩვენი ქვეყნების მდგრადობა, ჩვენი საზოგადოებების კეთილდღეობა, სტაბილურობა.



პატივცემულო ჯარისკაცებო, თქვენი მონაწილეობა ამ წვრთნებში არის გარანტია იმ სტაბილურობის, იმ მშვიდობის, რომელსაც ჩვენი ხელისუფლებები ემსახურებიან“, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მან ჯარისკაცებს სამშობლოსთვის განუწვილი სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ სწავლებაზე ისინი სამხედრო უნარებს დახვეწენ.

„ბრძანებები თქმულა და დღეს ამ ტრიბუნიდან კიდევ ერთხელ მსურს, განაცხადო – ეს საერთაშორისო სწავლება არც ერთი ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართული, იგი მხოლოდ და მხოლოდ რეგიონულ უსაფრთხოებას, მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებას ემსახურება, რაც, დარწმუნებული ვარ, ყველა ერის ინტერესებია. მინდა აღვნიშნო, რომ სწავლების მონაწილე ქვეყნების რაოდენობა მართლაც შთაბეჭდილია, უკვე 13 მონაწილემდე გაიზარდა და მასში შედიან საქართველო, აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ესტონეთი, საფრანგეთი, ლიეტუვა, აზერბაიჯანი, სომხეთი, პოლონეთი, ნორვეგია, თურქეთი და უკრაინა. სწავლება სასარგებლოა ყველა მონაწილე ქვეყნის შეიარაღებული ძალებისთვის, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის



და საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისთვის. რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, ყალიბდება ურთიერთდობა სხვადასხვა ქვეყნის სამხედროებს შორის და საფუძველი ეყრება თანასწორუფლებიან, ერთმანეთის გაძლიერებაზე

ორიენტირებულ სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას. რაც შეეხება საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, ეს სწავლება იქნება მეტი პროფესიონალიზმის, მეტი სიმტკიცის, მეტი საბრძოლო მზადყოფნისა და სტრატეგიულ და საერთაშორისო პარტნიორებთან მეტი თავსებადობის მომტანი, ჩვენს ქვეყანას კი მეტი მშვიდობა, მეტი უსაფრთხოება, მეტი სტაბილურობა და საერთაშორისო ჩართულობა მოუტანს“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველო დიდად აფასებს ყველა პარტნიორი ქვეყნის მხარდაჭერას და მადლობელია აშშ-ისა და ნატოს სხვა წევრი და მეგობარი ქვეყნების მხრიდან გამოხატული მკვეთრი მხარდაჭერისთვის, რაც სახეზეა ბოლო წლების განმავლობაში და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან.

„ძირითადი ჯარი დგას ჩვენი თავისუფლების სადარჯოზე და ჩვენი ხალხის სიყვარულით და პატივისცემით სრულიად დამსახურებულად სარგებლობს. დღეს შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებაში პარტნიორებთან ოპერატიული თავსებადობის გაუმჯობესებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ქართული ჯარის სამეთაურო შემადგენლობას „ლირსეული პარტნიორი“ საშუალებას გაძლევთ, ჩაატაროთ წვრთნები და დაგეგმოთ მაღალი სირთულის ოპერაციები. ჩვენი საერთაშორისო ძალებისთვის სადემონსტრაციოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები, ჩვენი სამხედროები სამშობლოს ემსახურებიან შორეულ ქვეყნებში, საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში. ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების გვერდგვერდ ბრძოლას ძალიან დიდი მნიშ-

ვნელობა აქვს საქართველოს მომავლისათვის, ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვისათვის.

„ჩვენი საერთო პარტნიორობა ნათლად წარმოაჩენს ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო და მეგობრულ საგარეო პოლიტიკას. შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გამყარება საქართველოს უმნიშვნელოვანესი სამხედრო-პოლიტიკური პრიორიტეტია. ნიშანდობლივია, რომ წლევანდელი, რიგით მეოთხე „ლირსეული პარტნიორი“ რუსეთის აგრესიის მეათე წლისთავს ემთხვევა. საქართველოს ხელისუფლება და ხალხი, ასევე, საერთაშორისო თანამეგობრობა დაბეჯითებით მოითხოვს ოკუპაციისა და მცოცავი ანექსიის შეჩერებას და რუსეთის ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.



„სწავლების სახელწოდება „ლირსეული პარტნიორი“ ჩვენი ჯარისკაცების სიმამაცისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ეს სწავლება, სწორედ ჩვენი ერთობლივი ღირსეული პარტნიორობის სიმბოლოა“, – განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ. მისი განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს სხვა წევრი და პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს მიმართ მზარდი დინამიკით გამოირჩევა. „თუკი 2017 წელს სწავლებაში მონაწილეობა 2800 სამხედრო მოსამსახურემ მიიღო, 2018 წელს მონაწილე სამხედრო მოსამსახურეების რაოდენობა 3000-ს აჭარბებს. ასევე, გაზრდილია მონაწილე ქვეყნების რაოდენობა. წელს სწავლებაში 13 ქვეყანა ჩართული: საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, საფრანგეთი, ლიეტუვა, ესტონეთი, პოლონეთი, ნორვეგია, თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი. გაზრდილია სწავლებაში მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიისა და ბერლინის ჯავშანტექნიკის რაოდენობაც“, – აღნიშნა ლევან იზორიამ.



ლიეტუვა, ესტონეთი, პოლონეთი, ნორვეგია, თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი. გაზრდილია სწავლებაში მონაწილე ამერიკის შეერთებული შტატები და გერმანიისა და ბერლინის ჯავშანტექნიკის რაოდენობაც“, – აღნიშნა ლევან იზორიამ.

### კვლევები მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მისაღწევად



შირაგვლასობის წევრის ირაკლი სესიაშვილის განცხადებით იგი NDI-ს კვლევებს არ ენდობა. „ჩემი დამოკიდებულება კარგად იცით წლების მანძილზე. ზოგადად, NDI-ის, როგორც ორგანიზაციას პატივისცემ, თუმცა ეს კვლევები არის, მე ვიტყვოდი, პოლიტიკური ინსტრუმენტი, რომ მოსახლეობაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინო. იმდენად, რამდენადაც ამ კვლევების განმხორციელებელი ორგანიზაციები ძალიან ახლოს არიან

რიგ პოლიტიკურ ინტერესებთან, თავისთავად ცხადია, აქ ნათლად ჩანს ფსიქოლოგიური ზემოქმედების გარკვეული ნიშნები, ამიტომ, ამ კვლევის მიმართ ჩემი მხრიდან არანაირი ნდობა არ არის“, – განაცხადა სესიაშვილმა.

### NDI-ის დიდი პატივისცემა მაქვს, მაგრამ რაც პოლიტიკურ ნაწილს ეხება, არ ვნდობი

ჰანდაცვიის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძე NDI-ის კვლევებს ეხმაურება და აცხადებს, რომ NDI-ის დიდი პატივისცემს, მაგრამ იმ მონაცემებს, რაც პოლიტიკურ ნაწილს ეხება, არ ენდობა. „საერთოდ NDI-ს კვლევებს თვალს ყურადღებით ვადევნებ ხოლმე, იმიტომ რომ ძალიან საინტერესო მო-

ნაცემები აქვთ, რაც არაპოლიტიკურ თემებს ეხება და ტენდენციის დაჭერა ძალიან საინტერესოა. ეს ხდება წლიდან წლამდე, ყველა მთავრობის პირობებში, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ საკითხებზე მოსახლეობის აზრის კვლევას, ამ შემთხვევაში და იმ შედეგებს, აზრი არ აქვს – ეს ერთი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ ვენდობი და არ მაინტერესებს მაგალითად, მოსახლეობის დამოკიდებულება ნატოს მიმართ. დარწმუნებული ვარ, როგორც არის, აბსოლუტურად სწორად არის მოცემული. ის, რომ სამუშაო ადგილებია ნომერი პირველი პრობლემა, სიახლე რომ არ არის, ყველას გვესმის და ეს, როგორც ნომერი პირველი პრობლემა, 1993 წლიდან ნებისმიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევაში გამოდის“, – განაცხადა აკაკი ზოიძემ.



















თარგობა



# ჭკუა საღიძეს ღონეს მოსდგამს

რომში მიმდინარე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ახალგაზრდა ფალავანთა ევროპის ჩემპიონატზე პირველი მედლები გათამაშდა. ქართველთაგან (მთავარი მწვრთნელი რევაზ ლაშვი) კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა თემურ ჭკუასელიძე (87 კგ), ხოლო მესამე ადგილები ლერი აბულაძემ (63) და ბექა გურულმა (77) დაიკავეს. ბრინჯაოსთვის პაექრობა დათმო ბექა მაკარიძემ (130) და საბოლოოდ მეხუთე ადგილს დასჯერდა.

ბორჯომელმა ჭკუასელიძემ ზედიზედ დამაჯერებლად სძლია შვეიცარიელ რამონ ბეჩარტის (5:0), სერბ ბორის პეტრუსიჩს (8:0), ნახევარფინალში ულამაზესი ფანდით – თავზე გადახტომით ბოლო წამს დაამარცხა რუსი საიდ მაგომედ აბუბაქაროვი (12:9), გამამყვეტ პაექრობაში კი უნგრელ

ალექს ყოკეს აჯობა (7:1) და ჩემპიონობა მოიპოვა.

სულოელმა აბულაძემ ჯერ აზერბაიჯანელი კამრან მირზალიევი დაჯაბნა (8:1), შემდეგ – თურქი აბდულა ტოპრაკი (11:1), ნახევარფინალი ბელარუს მაქსიმ ნეპოდასთან 2:7 წააგო, ხოლო მესამე ადგილისთვის პაექრობაში რუს ემილ ზიგანშინს (6:2) სძლია.

ოთხი ორთაბრძოლა ჩაატარა რუსთაველმა გურულმა: სტარტზე ფინელი ვალტერ ლატვალა (10:2) ჩამოიშორა გზიდან, მაგრამ მერვედფინალში ბულგარელ ზაპარი ზაშევთან თავად დამარცხდა (3:4), დამამუვიდებელში ჩეს დავიდ პრუსას (4:2), უკრაინელ დმიტრო ვასეცის (5:0) აჯობა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ლემსო ცინცაძე

საზონის წინ

## „ლასიოს“ ტრანსფერები

„ლასიო“ ოფიციალურად დაადასტურა ერთბაშად ორი ფეხბურთელის ტრანსფერი. სოაკინ კორუა და მილან ბადელი ამიერიდან „არწივთა“ ღირსებას დაიცავენ.



ხორვატი ბადელი, რომელიც ბოლოს ფლორენციის „ფიორენტინაში“ თამაშობდა, ახალ კლუბს თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუერთდა და 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, არგენტინელი კორუას სანაცვლოდ კი „სვევილიამ“ 16 მილიონი ევრო მიიღო და რომაელებს ბედი 5 წლით დაუკავშირა.

გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან

## ლოპესის გატაცებანი

მშვენიერი მსახიობი და მომღერალი ჯენიფერ ლოპესი სპორტით გატაცებული, დაკავებული და გადაკავებული რომაა, – ეს საყოველთაოდ ცნობილი ამბავია. გარდა იმისა, რომ დღემდე თავადაც აქტიურად მისდევს რამდენიმე სახეობას, იგი არც ქომაგობაში ჩამოუვარდება ვინმეს.

ტურფას ხშირად ნახავდით და დღესაც ნახავთ ამერიკული ფეხბურთის, ჰოკეის, კალათბურთისა და ბეისბოლის მატიჩებზე. იყო შემთხვევები, როდესაც ლოპესთან ჯენიფერას თავისი ცნობა-

დობა და გავლენა გამოუყენებია, გასასდელში შესულა და საყვარელი გუნდი ისე გაუმხნევებია.

ცოტა ხნის წინათ ამერიკაში ჭორი დადიოდა, რომ თითქოს ჯენიფერ ლოპესს ამერიკული ფეხბურთის ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი კლუბის შეძენა სურდა. ეს ჭორი საბოლოო ჯამში არ დადასტურდა, თუმცა, ამას ლოპესის სპორტისადმი მეგობრულ დამოკიდებულებაზე უარყოფითი გავლენა ნამდვილად არ მოუხდენია.

როსტომ რაჭველიშვილი

ლეგიონერი

## ისევ „ბასკონიაში“

საძარბაველოს ნაკრებისა და ესპანური „ბასკონიას“ ფორვარდმა თორნიკე შენგელიამ კლუბთან კონტრაქტი 2022 წლამდე გაახანგრძლივა. აღნიშნულ ინფორმაციას Eurohoops-ი ავრცელებს.

წყაროს ცნობით, თოკო ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებული კალათბურთელი იქნება, თუმცა, ზუსტი თანხა არ დასახელებულა. გავრცელებული ინფორმაციით, კონტრაქტი შეიძლება ერთადერთ შემთხვევაში დაირღვეს – თუ „ჯვაროსანს“ შეთავაზდება ნბა-ს რომელიმე გუნდიდან ექნება.

ევროლიგის განვლილ სეზონზე შენგელია საშუალოდ ერთ შეხვედრაში 13.7 ქულას, 6.6 მოხსნას და 2.2 პასს აგროვებდა.

ვიტალი ჯაფარიძე



ჩოგბურთი

## ალბარტის უაღაბ – დალბარტი



დამარცხდა. შეხვედრა საათსა და 14 წუთს გაგრძელდა.

პირველ სეტში ჩვენებური უშანსოდ იყო და 3:3-ზე მეტოქემ ბრეიკი შესრულა. მეორე პარტია ნიკოლოზ კარგად დაიწყო და ბრეიკით დაწინაურდა. თუმცა, სერბი უფრო აგრესიული იყო და ნაკლებ შეცდომებს უშვებდა, ბასილაშვილი კი აშკარად გადაღლილი ჩანდა და არაფერი გამოსდიოდა. ქართველს არც პირველი ჩანოდება უვარგოდა, ოთხი ორმაგი შეცდომა დაუშვა და ვერც ერთი ეისი ვერ მოაწოდა.

დიერე მატჩისთვის ტაქტიკურადაც უფრო მომზადებული აღმოჩნდა. ბალკანელი ნიკას ბექვენდზე ძირითადად მაღალ ბურთებს აწვდიდა, ჩვენებურს კი მათი დამუშავება უჭირდა.

განუჩარ ბიორბაძე

ოლიმპიზმი

## თომას ბახი წინააღმდეგობა

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) პრეზიდენტი თომას ბახი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში კიბერსპორტის შეტანას ეწინააღმდეგება. ამის შესახებ მან IOC-სა და კიბერსპორტული ორგანიზაციის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრის შემდეგ განაცხადა:

„გავა გარკვეული დრო, ვიდრე ბევრ გადაუჭრელ საკითხს გავუცემთ პასუხს, მანამდე კი კიბერსპორტის ოლიმპიურ პროგრამაში ჩართვაზე საუბარს აზრი არ აქვს. ჩემს მემკვიდრეს ალბ-

ათ ექნება ამ გადაწყვეტილების მიღების საშუალება. რა თქმა უნდა, კიბერსპორტსა და სპორტის ტრადიციულ სახეობებს შორის არსებობს რიგი საერთო ღირებულებები. სწრაფვა – ეს სწორედ ისაა, რაც გვაერთიანებს. ჩვენ სწორად უნდა განვსაზღვროთ საერთო ღირებულებები. მაგრამ არსებობს წითელი ხაზი, როდესაც საუბარია ძალადობისკენ ან დისკრიმინაციისკენ მიმართულ ქმედებაზე. ეს ვერ იქნება ოლიმპიადაზე. ჩვენ ეს გვესმის.“

გაუშან დოლიძე





# ლეილა აბაშიძე 89 წელი შეუსრულდებოდა

ლეილა აბაშიძე 89 წელი შეუსრულდებოდა. ცნობილი ქართველი კინომსახიობი, რეჟისორი და სცენარისტი 1929 წლის 1-ელ აგვისტოს დაიბადა.



1940 წლიდან მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმი“. 1941 წელს ითამაშა კატოს როლი კონსტანტინე პიპინაშვილის ფილმში „ქაჯანა“. 1951 წელს დაამთავრა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი. 1966 წელს ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის სიკო დოლიძის ფილმში „შეხვედრა წარსულთან“ ლენინგრადის საკავშირო კინოფესტივალის პირველი პრემია მიიღო.

კონსტანტინე პიპინაშვილთან ერთად დაწერა სცენარი „მოლოდინი“, რომელიც შოთა და ნოდარ მანაგაძეებთან ერთად გადაიღო. შექმნა მრავალი კომედიური და დრამატული სახე. იყო მხატვრული ფილმების „მოლოდინი“ (1970), „კოშკები სდუმან“ (1978) სცენარის ავტორი, მხატვრული ფილმის „თბილისი, პარიზი, თბილისი“ სცენარის ავტორი და რეჟისორი. კინემატოგრაფისტა კავშირის წევრი 1958 წლიდან.

2009 წლის 8 მარტს თბილისში, კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ლეილა აბაშიძის ვარსკვლავი გაიხსნა.

# ავსტრალიის ქალაქებს მუიერი კენგურუები შეესივნენ

CNN-ის ინფორმაციით ავსტრალიის დიდ ქალაქებს მუიერი კენგურუები შეესივნენ. ყველაზე რთული ვითარება კანბერაშია, სადაც ცხოველები მწვანე საფარს ახადებენ.

კენგურუების დანახვა ქალაქის ნებისმიერ პარკში, სტადიონებზე, სკოლებსა და ეზოებშია შესაძლებელი. ქალაქებში მათი მიგრაციის მიზეზი ძლიერი გვალვა გახდა.

ავსტრალიის გარემოს დაცვის სააგენტო ადგილობრივ მოსახლეობას განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს. ოფიციალური სტატისტიკით, ავსტრალიაში 24 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. კენგურუები რაოდენობით ადამიანებს 2-ჯერ აღემატებიან.



# ტანსაცმელივით მაღ-მაღა შესასვლელი

ლომინის თეთრეული, განსაკუთრებით წლის ცხელ დროში, ძალიან მალე ჭუჭყიანდება. ზენარზე რჩება კანის გამოცვლილი უჯრედები, ოფლი, მტვერი და მიკრობები, რომლებიც სხეულზე დღის განმავლობაში ჩნდება.

ამ კომფორტულ გარემოში სოკოები და პათოგენური მიკრობები დიდი სიჩქარით მრავლდებიან, ამიტომ თეთრეულის გარეცხვა სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინცაა საჭირო, თუმცა კიდევ უკეთესი, თუკი ამას ორჯერ გააკეთებთ. ლოგინი, რომელშიც ყოველ დღე-ღამეს 6-8 საათი გძინავთ, ტანსაცმელივით ისვრება, რომელსაც ყოველდღიურად იცვამთ. თეთრეულის გარეცხვა საჭიროა ცხელ წყალში, რათა მიკრობებს არც ერთი შანსი არ დარჩეთ.



# „მავნე“ სორცი

ხშირად გაიგონებთ, რომ ღორის სორცი ჯანმრთელობისთვის ყველაზე ნაკლებად საარგებელია.



ეს მართლაც ასეა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი სორცი ცხიმინია, თანაც შემწვარი. ამიტომ, უმჯობესია ღორის სორცის მოხარშვა, ან მოთუშვა. ღორის სორცი შესაძლოა ჰორმონებს შეიცავდეს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ცხოველი ფერმაშია გაზრდილი – ჰორმონები ღორის ორგანიზმში კომბინირებულ საკვებთან ერთად ხვდება. ასეთ ჰორმონთა სიჭარბე შეიძლება გასუქების მიზეზი გახდეს. გაცილებით უსაფრთხოა ღორის სორცის ფრინველის სორციით ან თევზით ჩანაცვლება.

ამასთან, არსებობს თეორია ღორის სორცის პოტენციური ონკოლოგიური საფრთხის შესახებ, მაგრამ ის დადასტურებული არ არის.

# ღრმად ჩაისუნთქეთ და დაეხმოდით!



დიდი ქალაქების მოსახლეობა, სოფლად მცხოვრებთან შედარებით, შიზოფრენიით 35 პროცენტით ხშირად ავადდება.

ეს გარემოება ფსიქიკური აშლილობებისადმი მიდრეკილ ადამიანებში სტრესების დიდი ოდენობითაა გამოწვეული, რაც უძლიერესი კატალიზატორის როლს ასრულებს.

ამავე მიზეზით შიზოფრენიით ხშირად ავადდებიან მიგრანტები, რომლებიც ენას ვერ ფლობენ, ასევე მძაფრი კრიმინალური საფრთხის წინაშე ღარიბი რაიონების მცხოვრებლები.

# მორწყვა, დაბარვა, გამარბვლა...


ბაღში მუშაობა ხელს უწყობს ბავშვის წონის ნორმაში მოყვანას, – ასეთია ამერიკელ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი.



ჰაერზე ყოფნა, მცენარეების მოვლა კარგად მოქმედებს ჩვენი პატარების ფსიქიკურ მდგომარეობაზე, რაც უაღრესად დადებითად აისახება მათ კვებით ჩვევებზე.

უფროსების დახმარებით მებაღეობაში ჩართული მსუქანი ბავშვების წონა ერთ წელიწადში ნორმაში დგება.

# იბუნური სისტემის რეაბილიტაციული ნაწილი



ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ბრმა ნაწლავის წამონაზარდი, რომელსაც „აპენდიქსს“ ვუწოდებთ და რომელიც ბოლო დრომდე რუდიმენტად იყო მიჩნეული, სინამდვილეში იმუნური სისტემის ნაწილი ყოფილა.

თურმე აპენდიქსი ორგანიზმს ვირუსებისა და ბაქტერიებისგან იცავს, ის სასარგებლო მიკროორგანიზმის ერთგვარ „დეპოს“ წარმოადგენს, რომლებიც უცხო აგენტებისგან გვიცავენ.

ამიტომ, მედიკოსები კატეგორიულად აცხადებენ, რომ აპენდიქსის ამოკვეთა მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს.

საქართველოს რესპუბლიკა  
SAKARTVELOS  
RESPUBLIKA  
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ძოგულია  
299-02-10  
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გოგიაშვილი  
599 53-76-16;

ალეკო  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაქია  
514 33-33-24

გამომცემლობა:  
შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79  
შპს „ახალი საუკუნე“  
იბეჭდება გამომცემლობა  
„ქოლორ პრესში“  
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)  
ს-323



ავტორთა  
საყურადღებოდ!

რედაქციის მხარ  
შეუკვეთავი მასალა  
დაიბეჭდება ავტორ-  
თა ხარჯით.  
ავტორთა მოსაზრებ-  
ა, შესაძლოა, მუდამ  
არ ემთხვეოდეს  
რედაქციის პოზიციას.  
ფაქტების სიზუსტეზე  
პასუხს აბეზან  
ავტორები.

გაზეთის  
მოქალაქე  
ნომერი  
გამოვა  
შაბათს,  
4 აპრილს

საქართველოს რესპუბლიკა	<b>უწყობრივი პალატის კარგი:</b>	<b>აიონი 1 აპრილსთვის</b>	<b>დავალიკაპით, მოგვანაპით:</b>
	<p>აუზ ღოღარი - 2.4484; პირი - 2.8717; ბრიტანული მიკროსტრუქტურა - 3.2214; 100 რუბლი - 3.9028; თურქული ლირა - 0.50015; აზერბაიჯანული მანათი - 1.4445; 1000 სომხური დრამი - 5.0849.</p>	<p>აქროსპალატი საქართველო: ბარა - ლაპი +17, ლაპი +34 მიმანი რეკონსტრუქციები - ლაპი +13, ლაპი +30 დასავლეთი საქართველო: ბარა - ლაპი +20, ლაპი +31 მიმანი რეკონსტრუქციები - ლაპი +14, ლაპი +31 თბილისი: ლაპი +22, ლაპი +33</p>	<p>ტელ: 299-02-10, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge</p>